გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სამმართველომ ეკლესიაზე უკრაინის ხელისუფლების ზეწოლის გაგრძელება დაამოწმა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 04.10.2024. ამის შესახებ ნათქვამია **გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ანგარიშში, უკრაინაში 2024 წლის 1 ივნისადან 31 აგვისტომდე პერიოდში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.** ანგარიშის ნაწილში, „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება“, აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში გაეროს უკს განაგრძობდა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენის შემთხვევების დოკუმენტირებას.

კერძოდ, დასაბუთებულია, რომ 2024 წლის 17 ივნისს ლვოვის რაიონულმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ძალაში დატოვა დროგობიჩის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება მის ტერიტორიაზე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობის აკრძალვის შესახებ „ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე“. ამის შესახებ უკს-ის ანგარიშში ნათქვამია: „სასამართლომ დაადგინა, რომ

უმე-ის ადგილობრივმა რელიგიურმა თემმა ვერ დაამტკიცა თავისი უფლებების დარღვევა, თუმცა თვითონაც საკმარისად ვერ ახსნა, თუ რატომ უნდა ჩათვლილიყო მისი აკრძალვა აუცილებელ და პროპორციულ ზომად საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან წესრიგის დაცვის საქმეში, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ".

უფრო მეტიც, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სამმართველოსთვის ცნობილია სულ მცირე შვიდი მსგავსი გადაწყვეტილების თაობაზე, დაწყებული 2022 წლის თებერვლიდან. მათგან ხუთი უკვე საბოლოო განაჩენია და შემდგომ გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.

ნახსენებია, ასევე, ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანთან დაკავშირებული ვითარება; მის მიმართაც, 18 ივნისს, ვინიცის სააპელაციო სასამართლომ **ძალაში დატოვა** ქცვედა ინსტანციის განაჩენი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია.

როგორც ადრე გავრცელდა ინფორმაცია, უკრაინის სასამართლომ 75 წლის მძიმე ავადმყოფი ეპისკოპოსის, მართლმადიდებლურ სამყაროში საყოველთაოდ ცნობილი საეკლესიო კომპოზიტორის წინააღმდეგ აბსურდულ ბრალდებებზე განაჩენი გამოიტანა. 2024 წლის 19 მარტს ცნობილი გახდა, რომ მიტროპოლიტ იონათანს **ინსულტი დაემართა** და მკურნალობას საჭიროებდა. 22 ივნისს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქ კირილეს თხოვნით, პატიმრების გაცვლის ფარგლებში მოლაპარაკებების შედეგად, ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტი იონათანი გათავისუფლებულ იქნა.

„ამ და კიდევ სხვა შემთხვევაში, რომელიც დოკუმენტირებულია უმაღლესი კომისრის ანგარიშში, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები იტყობინებოდნენ ზეწოლის შესახებ დანაშაულის აღიარებისა და რუსეთის ფედერაციასთან გაცვლაზე დათანხმების მიზნით", – ნათქვამია მოხსენებაში.

ასევე საყოველთაოდ ცნობილია მიძინების სვიატოგორსკის ლავრის წინამძღვრის, სვიატოგორსკის მიტროპოლიტ არსენის დევნის შესახებ, რომელიც 24 აპრილს **დააკავეს** ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა და მას შემდეგ წინასწარ პატიმრობაში იმყოფება გირაოს უფლების გარეშე. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებისა და რიგი რელიგიური მოღვაწეების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისადმი მიმართვაში, **ხაზგასმით** აღნიშნა: „მიტროპოლიტ არსენის მრავალდღიანი დაპატიმრება ხელოვნური, გამოგონილი მიზეზებით, არის კიდევ ერთი მორიგი შემთხვევა სხვა სადამსჯელო ზომებს შორის, რომლებიც მიმართულია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საჯარო გამომსვლელთა და მისი საინფორმაციო რესურსების წინააღმდეგ".

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სამმართველოს ანგარიშში მოხსენიებულია, ასევე, 2024 წლის 20 აგვისტოს უკრაინის უმაღლესი რადას მიერ მიღებულია კანონი „რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის სფეროში კონსტიტუციური წესრიგის დაცვის შესახებ". როგორც

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ აღნიშნა, ამ საკანონმდებლო აქტის რეალური მიზანი „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საკანონმდებლო დონეზე აკრძალვაა“.

„კანონი შეშფოთებას იწვევს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობის კუთხით. კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოება მას მიაჩნია რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად. თუმცა, არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ შეიცავს ამგვარი შეზღუდვის დასაშვებ საფუძვლებს შორის „ეროვნულ უსაფრთხოებას“, – განაცხადეს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სამმართველოში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92320/